ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6048818

ნომერი: AR1911830

თარიღი : 12.07.2022

გაცემის თარიღი : 22.07.2022

გაცნობის თარიღი : 22.07.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 35;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ნუცუბიძე პ/ნ 01005013245
- ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის 195

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 12 ივლისის №AR1911830 განცხადებით მომართა პაატა ნუცუბიძემ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის

№5694414 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.014.836) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ბ“ და „გ“ ბლოკების) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 6 დეკემბრიდან 2022 წლის 6 აგვისტოს ჩათვლით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის 2021 წლის 28 დეკემბრის №ბ-10/01213412443-17 ბრძანებით მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.014.836) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი („ბ“ ბლოკი-IV კლასი).
სამსახურის 2022 წლის 14 მარტის №5847101 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 22701.3 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 14448.6 კვ.მ., ავტოსადგომების ფართობად 3026.1 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებით შეთანხმებული -2.800, 0.00, +10.100, +13.400, +16.700 და +49.700 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა 2022 წლის 17 თებერვლის №AR1879064 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებს დაემატა +59.600 ნიშნულის გეგმა.
სამსახურის 2022 წლის 05 აპრილის №5881887 ბრძანებით, ასევე, გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე ფართობად დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი 461.9 კვ.მ. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა (სამსახურის 2022 წლის 14 მარტის №5847101 ბრძანებით ჩანაცვლებული 0.00 ნიშნულის გეგმის გათვალისწინებით) ჩანაცვლდა 2022 წლის 04 აპრილის №AR1890972 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
სამსახურის 2022 წლის 14 ივნისის №5982563 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 22449.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2532.6 კვ.მ., დამხმარე ფართობად 54.2 კვ.მ. სამშენებლო მოცულობად 76232.9 კუბ.მ., 0.00 ნიშნულის ზევით 67154.6 კუბ.მ., 0.00 ნიშნულის ქვევით 9078.3 კუბ.მ. ასევე, სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები და განმარტებითი ბარათი (პდფ ფაილის მე-2 ფურცელი) ჩანაცვლდა 2022 წლის 25 მაისის №AR1897406 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით და განმარტებითი ბარათით (პდფ ფაილის მე-2 ფურცელი).
დღევანდელი მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებით შეთანხმებულ (სამსახურის 2022 წლის 14 ივნისის №5982563 ბრძანებით ჩანაცვლებულ) 0.00 ნიშნულის გეგმაზე დატანილია 31 ღია ავტოსადგომი (461.9 კვ.მ., აღნიშნული ფართობი სამსახურის 2022 წლის 05 აპრილის №5881887 ბრძანებით იქნა ასახული სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებაში), თუმცა მოცემული ღია ავტოსადგომები „ბ“ და „გ“ ბლოკებისთვის, ცალ-ცალკე დაფიქსირებული არ არის. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას და „ბ“ ბლოკისთვის ღია ავტოსადგომების ფართობად 238.4 კვ.მ-ის (16 ღია ავტოსადგომი) და „გ“ ბლოკისთვის 223.5 კვ.მ-ის (15 ღია ავტოსადგომი) დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ღია ავტოსადგომების ფართობების მაჩვენებლები და 0.00 ნიშნულის გეგმა შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. კერძოდ, სამსახურის 2022 წლის 05 აპრილის №5881887 ბრძანებით სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებაში ასახულ იქნას ღია ავტოსადგომების ფართობი: 461.9 კვ.მ. ამასთან, 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებით შეთანხმებულ (სამსახურის 2022 წლის 14 ივნისის №5982563 ბრძანებით ჩანაცვლებული) და წარმოდგენილ 0.00 ნიშნულის გეგმებზე „ბ“ ბლოკისთვის გათვალისწინებულია 16 ღია ავტოსადგომი (238.4 კვ.მ.), ხოლო „გ“ ბლოკისთვის 15 ღია ავტოსადგომი (223.5 კვ.მ.). ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ 0.00 ნიშნულის გეგმაზე, ექსპლიკაციებში ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2022 წლის 14 ივნისის №5982563 ბრძანებით ჩანაცვლებული) 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი 0.00 ნიშნულის გეგმით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 დეკემბრის №5694414, 2022 წლის 14 მარტის №5847101, 2022 წლის 05 აპრილის №5881887 და 2022 წლის 14 ივნისის №5982563 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.